

ვახუშტი მენაბდე

რელიგიის თავისუფლება – სად უნდა ვეძიოთ იგი

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების გამიჯვნის შესახებ

ვახუშტი მენაბდე

*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადამიანის უფლებების იურისტი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსტიტუციური სამართლის ლექტორი.*

1. შესავალი

საკანონმდებლო ტექნიკა გამოირიცხავს ერთი და იმავე უფლების ორი მუხლით დაცვის საჭიროებას. რაც არ უნდა უხვი იყოს საყვედურები საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის ავტორების მიმართ, აღნიშნული წესიდან გადახვევის საბაბით, ამ პასუხისმგებლობის მათთვის გადაკისრება პრობლემაზე თვალის დახუჭვა იქნებოდა. ეს ასეც რომ იყოს, სამართალშემფარდებლებმა უნდა მიმართონ კონსტიტუციის განმარტების ყველა შესაძლო ხერხს, რომ ერთმანეთისგან გამიჯნონ მსგავსი ნორმებით დაცული სფეროები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებს ერთ შეხედვით მსგავსი დაცული სფერო გააჩნიათ. ორივეგან საუბარია გამოხატვის თავისუფლებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში უკვე ათი წელია დგას ამ მუხლების გამიჯვნის საკითხი. ამ დროის განმავლობაში იგი ხან უგულებელყოფდა გამიჯვნის საჭიროებას, ხან კი ურთიერთგამომრიცხავ მიდგომებს გვთავაზობდა. სულ ახლახან საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სახალხო დამცველმა¹. სასამართლოს ამ საქმეზე ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ აქვს გამოტანილი. აღნიშნულ დავაში იგი საქართველოს კონსტიტუციის სრულიად ახლებური განმარტების წინაშე დგას, მან უნდა განმარტოს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი რელიგიის თავისუფლების რა ასპექტებს იცავს და რამდენად. მან უნდა გამიჯნოს რელიგიის თავისუფლების Forum Internum (შიდა სფერო) და Forum Exsternum (გარე სფერო)².

¹ აღნიშნული დავის შესახებ უფრო კონკრეტულად იხ. ქვემოთ. 3.4 თავი „სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ“.

² უფრო ვრცლად რელიგიის თავისუფლების შიდა და გარე სფეროს გამიჯვნის შესახებ იხ. ვახუშტი მენაბდე, „Forum Internum და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის უფლება“, ჟურნალი „სოლიდარობა“, 2009 წელი, №6(33).

წინამდებარე სტატიის მიზანია, გააანალიზოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკა, შესთავაზოს მკითხველს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების მიდგომა. სტატიის დასკვნით ნაწილში საუბარი იქნება სახალხო დამცველის ზემოაღნიშნულ სარჩელზე და სასამართლოს გადაწყვეტილების შესაძლო ვარიანტებზე.

2. კონსტიტუციის მუხლები და მათი ზოგადი აღწერა

ამ სტატიაში, როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში არსებული ერთი პრობლემური საკითხი განიხილება. ეს მე-19 და 24-ე მუხლებით დაცული სფეროების გამოიწვევს.

მე-19 მუხლის რედაქცია:

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.
2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.
3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

24-ე მუხლის რედაქცია:

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით.
2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.
3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.
4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნებისგან თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

პრობლემას წარმოშობს სიტყვები „აზრი“ და „სიტყვა“, რომლებიც ამ მუხლების პირველ პუნქტში საერთოა. თუ ეს სიტყვები მათი გრამატიკული მნიშვნელობით იდენტურია, მაშინ რა საჭირო იყო ერთი უფლების ორი მუხლით დაცვა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მათი

შეზღუდვის საფუძველი სრულიად განსხვავებულია? ამ კითხვაზე პასუხი ზემოთ უკვე აღინიშნა: ეს მუხლები სხვადასხვა უფლებას ან უფლების სხვადასხვა ასპექტს იცავს. წინამდებარე სტატიის ამოცანაა, პასუხი გასცეს კითხვას: რა განასხვავებს ერთმანეთისგან კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებს? ვინაიდან სიტყვების გრამატიკული გაგება იდენტურია, საჭიროა გაირკვეს თითოეული ამ მუხლის ტელეოლოგია, ანუ ის აზრი, რაც „კანონის სულს“ აყალიბებს და ამის შუქზე განიმარტოს თითოეული ნორმა.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს აღრეული პრეცედენტები

3.1. მე-19 და 24-ე მუხლები საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებებში

საკონსტიტუციო სასამართლოში არაერთხელ შესულა სარჩელი მე-19 და 24-ე მუხლებით განმტკიცებული უფლებების დარღვევის დადგენის მოთხოვნით. თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმე სარჩელმა გაიარა დასაშვებობის ეტაპი, დანარჩენებზე, ამა თუ იმ მიზეზის გამო, შეწყდა წარმოება. მართალია, ამ განჩინებებში სასამართლოს არსებითად კონსტიტუციის მუხლების შინაარსზე არ უმსჯელია, მაგრამ მოსარჩელეთა მიერ დაფიქსირებული ხედვა (რომელიც გვხვდება განჩინების აღწერილობით ნაწილში) საინტერესოა.

ამგვარ საქმეთაგან პირველია „მოქალაქე გიორგი ყორღანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც მოსარჩელე ნორმის კონსტიტუციურობაზე კონსტიტუციის მე-19 მუხლთან მიმართებით დავობდა.

მოსარჩელე კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის ინტერესებს იცავდა. პარტია სადავო ნორმის მიღებამდე 180 წევრს აერთიანებდა. დავის საგანს წარმოადგენდა წესი, რომლის მიხედვითაც, პარტიის რეგისტრაცია ხდებოდა მას შემდეგ, რაც იუსტიციის სამინისტროს წარედგინებოდა პარტიის არანაკლებ 1000 წევრის სია (მაიდენტიფიცირებული და საკონტაქტო მონაცემებით)³. სარჩელში მითითებული იყო, რომ სადავო ნორმამ შეზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით აღიარებული სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება⁴, თუმცა ამაზე მეტი ინფორმაცია სარჩელის დასაბუთების შესახებ არ არის განჩინებაში მოცემული⁵.

კიდევ ერთი საქმე, რომელიც განჩინებით დასრულდა, არის „საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მენაბდე და ირაკლი ბუთბაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2000 წლის 27 სექტემბერის N2/94/1 განჩინება საქმეზე მოქალაქე გიორგი ყორღანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე.

⁵ სწორედ იმის გამო, რომ მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რითაც დადასტურდებოდა კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობა, სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო.

აღნიშნულ საქმეში მოსარჩელები დავობდნენ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც, ყველა სტუდენტი⁶, მისი რელიგიური მრწამსის მიუხედავად, ვალდებული იყო, გაეწეო საშუალო სარეზერვო სამსახური, რომელიც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებისათვის არ ითვალისწინებდა ამ ვალდებულების არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურით ჩანაცვლების უფლებას.

მოსარჩელებს მიაჩნიათ, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გარანტირებულ სინდისისა და რწმენის თავისუფლებებს⁷. მოსარჩელეთა აზრით, სინდისის თავისუფლება გულისხმობს პირის შეხედულებებს „კარგსა“ და „ცუდზე“, რაც განაპირობებს ინდივიდის შესაბამის ქმედებას. ხოლო რწმენის თავისუფლება, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს პირის უფლებას, თავისუფლად აირჩიოს და ჰქონდეს რელიგიური ან არარელიგიური მრწამსი და იმოქმედოს მის შესაბამისად. რწმენის თავისუფლება მოიცავს პირის უფლებას, არ დაექვემდებაროს ისეთ მოპყრობას, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება მის აზროვნებას. მოსარჩელეთა აზრით, ადამიანის რწმენისა და სინდისის თავისუფლებაში ჩარევად აღქმული უნდა იქნეს ნებისმიერი ქმედება, რომლითაც სახელმწიფო შეეცდება, პირი აიძულოს, იმოქმედოს თავისი შეხედულებების საწინააღმდეგოდ. მოსარჩელებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ სიკეთეებს შორის მოიაზრება ასევე პაციფიზმი⁸.

შემდეგი საქმეა საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ.

დავის საგანი იყო ნორმა, რომლის მიხედვითაც, მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება ჰქონდათ მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს ან ბლოკებს. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ ამგვარმა დანაწესმა, ხელყო მისი უფლება, დამოუკიდებლად მიეღო მონაწილეობა არჩევნებში. მისი მტკიცებით, აღნიშნულმა ნორმამ აიძულა, კონკრეტულ საარჩევნო ბლოკთან ეთანამშრომლა და აღნიშნული ბლოკის რიგითი ნომრით ეწარმოებინა წინასაარჩევნო კამპანია, რითაც შეილახა კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით, 24-ე მუხლის პირველი პუნქტით [...] გათვალისწინებული მისი უფლებები და თავისუფლებები⁹. კონსტიტუციური სარჩელი მიზნად ისახავდა, რომ [...] სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის მეშვეობით, არაკონსტიტუციურად ყოფილიყო ცნობილი მათ საფუძველზე ჩატარებული 2008 წლის 21 მაისის საქართველოს პარლამენტის არჩევნები¹⁰. თუმცა სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო¹¹.

⁶ კანონის მიხედვით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტისთვის სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ასაკი განისაზღვრებოდა 23 წლიდან. მოსარჩელები ამ ასაკის არ იყვნენ, ხოლო, როდესაც ამ ასაკს მიაწევდნენ ბაკალავრის საფეხური უკვე დახურული ენებოდათ, ამის გამო ისინი არსებული მონაცემებით, არ ექცეოდნენ და არც მოექცეოდნენ ნორმის მოქმედების ქვეშ. სასამართლომ სარჩელი დაუშვებლად ცნო.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 9 ოქტომბრის N1/5/424 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მენაბდე და ირაკლი ბუთბაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ.1.3.

⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული განჩინება; პ.1.3.;

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2008 წლის 27 ივნისის N16/455 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ; პ. 1.4.

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული განჩინება; პ. 11.1.

¹¹ კანონის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ჩატარების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მიმართვის უფლება აქვთ საქართველოს პრეზიდენტს და საქართველოს პარლამენტს.

თუმცა აღნიშნული განჩინება იმით არის საინტერესო, რომ პირველი¹², როდესაც ნორმის კონსტიტუციურობა ერთდროულად დადგა მე-19 და 24-ე მუხლებთან მიმართებით.

უკანასკნელი საქმე, რომელზეც სასამართლომ განჩინება გამოიტანა და რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლს შეეხებოდა, არის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება“ „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ¹³. მოსარჩელე მოითხოვდა კანონის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის მიხედვითაც, სასამართლო სხდომის რაიმე ფორმით ჩაწერა და გადაცემა აიკრძალა. „საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, ნებისმიერ პირს შეუძლია, საჯაროდ დააფიქსიროს თავისი აზრი ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს. [...] არ არის სავალდებულო, რომ მისი შეხედულებები ფაქტების სწორი შეფასებებიდან გამომდინარეობდნენ და მათ საზოგადოების უდიდესი ნაწილი იზიარებდეს“¹⁴. მოსარჩელის აზრით, უფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მე-19 მუხლს. თუმცა უნდა აღინიშნოს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არსებითად კონსტიტუციის 85-ე მუხლით დარეგულირებულ საკითხზე დავობდა¹⁵.

როგორც აღმოჩნდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში სულ 4 შემთხვევაა, როდესაც მოსარჩელე კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებზე მიუთითებს და სასამართლოს ისე გამოაქვს განჩინება, რომ მსჯელობაში არ შედის. პრაქტიკა შეიძლება გაიყოს 3 ნაწილად, საქმეები, რომლებშიც მოსარჩელები მე-19 მუხლის პირველ პუნქტზე მიუთითებდნენ როგორც (1) რელიგიის თავისუფლებაზე, საქმეები რომლებშიც მოსარჩელები ანალოგიურ ნორმაზე მიუთითებდნენ როგორც (2) საარჩევნო უფლებაზე და საქმეები რომლებშიც მიუთითებდა ხდებოდა როგორც (3) აზრის საჯარო დაფიქსირების უფლება. ამათგან მხოლოდ ერთი არის ისეთი საქმე, როდესაც სადავო ნორმა ერთდროულად მე-19 და 24-ე მუხლებთან წინააღმდეგობაში არის განხილული, თუმცა გამიჯნული არ არის სადავო ნორმის რომელი ასპექტი ამ ორი კონსტიტუციური დანაწესის რომელი ასპექტი რომელს ეწინააღმდეგება.

ტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს („საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის დ“ ქვეპუნქტი). სასამართლოს მოტივი სარჩელის დაუშვებლად ცნობის დროს სწორედ ის იყო, რომ მოსარჩელე აღნიშნულ დავაზე არ წარმოადგენდა სათანადო სუბიექტს.

¹² ეს არის პირველი განჩინება. რეალურად, პირველი სარჩელი აღნიშნულ მუხლებზე აპელირებით, რომელიც პირველად შევიდა, იყო საქმეზე – საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, თუმცა ეს გადაწყვეტილება ქვემოთ იქნება განხილული.

¹³ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული განჩინება; I. 3.7.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2010 წლის 28 დეკემბერის N2/5/492 განჩინება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. I. 3.6.

¹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 85-ე მუხლის პირველი პუნქტი: სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. სარჩელი დაუშვებლად ცნეს სწორედ იმის გამო, რომ 85-ე მუხლი მოცემულია კონსტიტუციის არა მეორე, არამედ მე-5 თავში, ხოლო მოსარჩელე უფლებამოსილია, იდავოს ნორმატიული აქტების მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებებთან შესაბამისობის საკითხებზე („საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

3.2. 24-ე მუხლი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში

ყველა ის საქმე რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლომ 24-ე მუხლი დამოუკიდებლად განიხილა, მან იმსჯელა ინფორმაციის თავისუფლებაზე¹⁶, თუმცა ამ პროცესში რამდენიმე საინტერესო სტანდარტი დაადგინა. მაგალითად, საქმეში „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. მოსარჩელები აცხადებდნენ, რომ 24-ე უხლით დაცულია გამოხატვის თავისუფლება და მას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან აიგივებდნენ¹⁷. სასამართლომ განაცხადა, რომ „აღნიშნული მუხლი მოიცავს სამ ძირითად უფლებას – ინფორმაციის, აზრისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლებას“¹⁸. კიდევ ერთ საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ „აზრის გამოხატვის თავისუფლება, საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად, ინფორმაციის მიღების და გავრცელების შესახებ აღიარებულია“ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მეათე მუხლით [...]. აღნიშნულმა დებულებებმა გამოხატულება პოვა საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლშიც [...]"¹⁹. იმავე საქმეში აღნიშნულ მუხლს სასამართლო მოიხსენიებს როგორც „აზრის თავისუფლება“²⁰.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს ხედვით, აღნიშნული ნორმა გაიგივებულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლთან, რომელიც გამოხატვის თავისუფლების კლასიკურ დოკუმენტს წარმოადგენს.

3.3. 19-ე და 24-ე მუხლები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში

პირველი საქმე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-19 მუხლზე იმსჯელა, იყო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქმე „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის რამდენიმე მუხლს შეეხებოდა. ერთ-ერთზე მსჯელობისას, მოსარჩელებმ გამოთქვა მოსაზრება, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ შეკრე-

¹⁶ როგორც მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლება 24-ე მუხლი განხილულია საქმეებში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2004 წლის 28 ივნისის N 1/3/209,276 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 14 ივლისის N2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

¹⁸ იქვე.

¹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2006 წლის 6 ივნისის N 2/2/359 გადაწყვეტილება საქმეზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ.1.

²⁰ იქვე, პ.2.

ბის უფლებას, არამედ გამოხატვასაც. საქმე ეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში შეკრების ორგანიზატორების მიერ წარსადგენი გაფრთხილების²¹ შინაარსში შეკრების ან მანიფესტაციის ფორმის ან მიზნის დაფიქსირების ვალდებულებას. „კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიიჩნევდა, [...] შეკრების ან მანიფესტაციის ფორმის ან მიზნის შესახებ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციით გარანტირებული არა მარტო შეკრებების თავისუფლების, არამედ სიტყვის თავისუფლების დებულებებსაც. კერძოდ, იგი წინააღმდეგობაშია კონსტიტუციის მე-19 მუხლისა და 24-ე მუხლის პირველ პუნქტთან“²². საკონსტიტუციო სასამართლოს ამ საქმეში პირველად მიეცა შესაძლებლობა, ერთმანეთისგან გაემიჯნა ზემოაღნიშნული ორი ნორმა, თუმცა მან მსჯელობისას ყურადღება არ გაამახვილა ამ საკითხზე. „[...] სიტყვის თავისუფლება დიდი ხანია დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ და ძირითად ფუნქციონალურ ელემენტს მიეკუთვნება. თუ შეკრების უფლებას გავიგებთ როგორც აზრის თავისუფლად გამოხატვის თავისუფლებას, მასზეც იგივე შეიძლება ითქვას“²³. – განაცხადა სასამართლომ მოსარჩელის შესაბამისი მოთხოვნის განხილვისას, თუმცა იმდენად, რამდენადაც დიფერენციაციისთვის არ მიუძღრათ, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ სასამართლომ ეს ორივე მუხლთან მიმართებით თქვა.

ყველაზე ფართოდ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეში „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. დავის არსი შემდეგში მდგომარეობდა, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა“ და „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონით განსაზღვრული იყო პირის ვალდებულება ცნობების უარყოფაზე, თუ იგი ვერ დაადასტურებდა, რომ მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეეფერებოდა. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მუხლით ირღვეოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი. რომელშიც წერია, რომ „დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ“. იგი მიიჩნევდა, რომ პირისთვის სადავო ნორმით განსაზღვრული ფაქტების უარყოფის დავალება, სწორედ რომ მისი იძულება იყო, გამოეთქვა მოსაზრებები. „აზრის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს არა მარტო უფლებას, თავისუფლად გამოხატო საკუთარი აზრი, არამედ უფლებასაც შეიკავო თავი ნებისმიერი შენთვის არასასურველი აზრის გამოხატვისაგან. ის ინფორმაცია, რომლის უარყოფაც დაევალება პირს, შეიძლება მისთვის კვლავ ერთადერთ ჭეშმარიტებას წარმოადგენდეს. სადავო ნორმა კი, კონსტიტუციის მე-19 მუხლის საპირისპიროდ, ავალებს მას, მისი ნების საწინააღმდეგოდ, გაავრცელოს ინფორმაცია ან/და გამოხატოს აზრი“²⁴.

²¹ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის საშუალოდ ადგილას იმართება ორგანიზატორი მოვალეა, ამის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში შეიტანოს გაფრთხილება. სადაც, მაშინდელი რეალობით, უნდა მიეთითებინა შემდეგი ინფორმაცია: შეკრების ან მანიფესტაციის ფორმა, მიზანი, ჩატარების ადგილი ან სვლაგზი, დაწყების და დამთავრების დრო, თარიღი, მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა და სხვა.

²² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2002 წლის 5 ნოემბრის N 2/2/180-183 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ზაალ ტყეშელაშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, მაია შარიქაძე, ნინო ბასიშვილი, ვერა ბასიშვილი და ლელა გურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.6.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2004 წლის 11 მარტის N2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ამავე საქმეში მოსარჩელე, მართალია, პირდაპირ არ ახსენებს Forum Internum-ს, მაგრამ ფაქტობრივად მის შესახებ საუბრობს, როდესაც სარჩელში მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე პუნქტში არსებული ჩანაწერი („დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს“) გულისხმობს სწორედ იმას, რომ აზრის თავისუფლების მხოლოდ ის ნაწილი შეიძლება შეიზღუდოს, რომელიც გამოხატავდა, მაშინ როდესაც აზრის გამოხატვასთან არ გვაქვს საქმე, იმ შემთხვევებს აბსოლუტური პრივილეგიით იცავს²⁵. მოსარჩელის აზრით, ამას „ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციით, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროსაც კი არ არის შესაძლებელი ამ უფლების შეზღუდვა“²⁶.

ამავე საქმეში აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებებზე აზრი გამოთქვა მოპასუხემ, რომელმაც ერთმანეთს შეადარა მე-19 და 24-ე მუხლები, თუმცა იგი ამ დროს უფრო მსგავსების ძიებით იყო დაკავებული ვიდრე გამიჯვნის. მას სადავოდ არ გაუხდია აღნიშნული ნორმის დაცული სფერო²⁷.

საქმეზე სპეციალისტებად მოწვეულ იურისტთაგან²⁸ არც ერთს არ დაუყენებია კონსტიტუციური ნორმების გამიჯვნის პრობლემა. ასევე, მათ ერთხმად განაცხადეს, რომ სადავო ნორმები არ არღვევდნენ კონსტიტუციურ მოთხოვნებს²⁹.

გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ პირველ რიგში ყურადღება მიაქცია იმას, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებულია ადამიანის რამდენიმე თავისუფლება, კერძოდ, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის და რწმენის თავისუფლება“³⁰. თუმცა, მოსარჩელის მოთხოვნის შესაბამისად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობა განიხილებოდა მხოლოდ სიტყვისა და აზრის თავისუფლებასთან მიმართებით³¹.

სასამართლოს აზრით, კონსტიტუციით „გათვალისწინებულია აღნიშნული თავისუფლების პოზიტიური და ნეგატიური გარანტიები – მე-19 მუხლი მოიცავს როგორც აზრის გამოხატვის თავისუფლებას, ისე ადამიანისათვის არასასურველი, მისი მოსაზრების საწინააღმდეგო აზრის გამოხატვისგან თავის შეკავების უფლებას“³². თუმცა სასამართლომ, მართალია, განაცხადა, რომ „სიტყვისა და აზრის თავისუფლება არ განეკუთვნება აბსოლუტურ, შეუზღუდავ თავისუფლებათა კატეგორიას“³³ და იქვე აღნიშნა, რომ „ასეთი ჩანაწერი [კონსტიტუციის

²⁵ შრდ. საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე.

²⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე.

²⁷ შრდ. საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე.

²⁸ საქმეზე სპეციალისტებად მოწვეული იყვნენ: თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი შალვა ჩიკვაშვილი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, ადვოკატი როინ მიგრაიული; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი პოლიკარპე მონიავა; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი კონსტანტინე კორკელია.

²⁹ შრდ. საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე.

³⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: I.

³¹ შრდ. საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: I.

³² საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: I.

³³ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: I.

მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი] იძლევა დამატებით გარანტიას სიტყვისა და აზრის თავისუფლების დაცვისთვის – კრძალავს ამ თავისუფლების ნებისმიერი ფორმით შეზღუდვას, თუ მისი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს³⁴.

სასამართლომ ამ საქმეზე გამოხატვის თავისუფლების უპრეცედენტოდ მაღალი სტანდარტი დაადგინა: „[...] სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ მისი გამოვლინება ლახავს სხვათა უფლებებს და ეს არის ერთადერთი პირობა, რაც შეიძლება გახდეს სიტყვისა და აზრის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. [...] მაშასადამე, თითოეული ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვათა უფლებები“³⁵. გამოხატვის თავისუფლება მართლაც არ არის აბსოლუტური უფლება, მისი შეზღუდვის საფუძველების ჩამონათვალი, *inter alia*, სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში გაცილებით ვრცელია და სხვათა უფლებები „ერთადერთი“ ნამდვილად არ არის. აქვე დაზუსტებისთვის უნდა ითქვას, რომ სასამართლომ ამ საქმეში იმსჯელა აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე ზოგადად და არა მის რომელიმე ასპექტზე, რაც მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გააკეთა. ამგვარი სტანდარტის დადგენის შესაძლებლობა სასამართლოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის სტრუქტურამ მისცა, თუმცა მოგვიანებით ეს მიდგომა შეიცვალა.

სასამართლომ უპირველესად ერთმანეთისგან გამიჯნა აზრი და ფაქტები. მან განაცხადა „აზრი – ეს არის ადამიანის პირადი, სუბიექტური შეფასება ამა თუ იმ მოვლენის, იდეის, ფაქტისა თუ პიროვნების მიმართ. [...] ფაქტები არის რეალურად, ნამდვილად მომხდარი საგნები, მოვლენები ან გარემოებები, რომლებიც შეიძლება იყოს მცდარი ან მართალი, სწორი. აქედან გამომდინარე, ფაქტები ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებებს. შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. მაშინ როდესაც მოსაზრების ნამდვილობის მტკიცება შეუძლებელია და შესაბამისად, ამის ვალდებულებაც აზრის გამომთქმელს არ უნდა ეკისრებოდეს [...]“³⁶.

აღნიშნული დავა მოპასუხის გამარჯვებით დასრულდა. სასამართლოს ამ საქმეში განსაკუთრებით საინტერესო არაფერი უთქვამს, მეტიც, მან გამოხატვის თავისუფლება სრულად მოაქცია მე-19 მუხლის ფარგლებში, ისე რომ, არავითარი განმარტება არ გაუკეთებია.

მომდევნო საქმე, როდესაც სასამართლომ მე-19 მუხლზე არსებითად იმსჯელა, არის საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ. ამ საქმეში მოსარჩელემ აღნიშნული მუხლი (24-ე მუხლთან ერთად) არჩევნებში მონაწილეობასთან დააკავშირა³⁷. „[...] აზრის გამოხატვის უფლება კავშირშია საარჩევნო უფლებასთან, არჩევნების გზით ნების თავისუფალ გამოხატვასთან, არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლებასთან. ამ უფლების შეზღუდვა ნიშნავს აზრის

³⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: I.

³⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: I.

³⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II;

³⁷ სასამართლომ ამგვარი მიმართება უარყო და განაცხადა, რომ „ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება, რაც გადაწყვეტია დემოკრატიული პროცესისათვის, ასევე საარჩევნო უფლებები დაცულია კონსტიტუციის 28-ე მუხლით და არა მე-19 და 24-ე მუხლებით.“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ; პ.: II. 15.

გამოხატვის უფლების შეზღუდვას. მოსარჩელებს არ მიეცათ საშუალება განეხორციელებინათ ძალაუფლება უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით, მონაწილეობა მიეღოთ ადმინისტრაციისა და საკონკურსო კომისიების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გამოეთქვათ თავისი აზრი. ამრიგად, დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი [...]“³⁸. როგორც ჩანს, მოსარჩევემ აქაც არ გამოიწვნა 24-ე და მე-19 მუხლები, აღნიშნულ დავაში არც მოპასუხეს გამოუთქვამს რაიმე საყურადღებო განცხადება ამ მიმართულებით³⁹.

სასამართლოს მსჯელობა საინტერესო კუთხით მოუწია, თუ რამდენად იყო „[...]ამ მუხლებით დაცული სიკეთე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობით ორგანოს არჩევნებში და ამ ორგანოს საქმიანობაში მონაწილეობა, ასევე გარკვეულ თანამდებობაზე ყოფნა[...]“⁴⁰.

სასამართლო ამ საქმეში პირველად შეეცადა ერთმანეთისგან გაემიჯნა აღნიშნული მუხლები. პირველი, რაც სასამართლომ თქვა, იყო ის, რომ „კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლები ერთგვარად ავსებს ერთმანეთს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური უზრუნველყოფის თვალსაზრისით“⁴¹. ამ ფრაზის მიხედვით, ორივე მუხლი იცავს გამოხატვის თავისუფლების სხვადასხვა ასპექტს.

ამის შემდეგ სასამართლომ იმსჯელა ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების მნიშვნელობაზე დემოკრატიულ საზოგადოებაში, მოგვიანებით კი ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტურ ნაწილზე. „თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს. ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს გამოხატოს თავისი აზრი, ან თავი შეიკავოს მისი გამოხატვისაგან. კონსტიტუცია ამ მიმართებით კატეგორიულია – ის კრძალავს ადამიანის დევნას აზრის გამო, ასევე მის იძულებას, რომ გამოთქვას აზრი. ეს არის მკაცრი დანაწესი სახელმწიფოს, მისი ორგანოების მიმართ, რომელიც გამონაკლისს არ უშვებს“⁴². მაშასადამე, სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ ადამიანის უფლება, არ იდევნებოდეს კონკრეტული აზრის ქონის გამო, ან არ დაექვემდებაროს იძულებას, გამოთქვას აზრი, წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და გამონაკლისი ამ წესიდან არ არსებობს.

ამის შემდეგ სასამართლომ ისაუბრა აზრის თავისუფლების გამოხატვის ასპექტზე „[...] კონსტიტუცია იცავს აზრის გამოხატვისა და გავრცელების პროცესს, მის შინაარსსა და ფორმებს, თუმცა, იმავდროულად, ამ უფლებათა შეზღუდვის ფორმალურ და მატერიალურ

³⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ. I.5.

³⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ. I.6.

⁴⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ. II. 12; ისევე როგორც წინა საქმეში, სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-19 მუხლთან შესაბამისობის საკითხის განხილვისას არ იმსჯელა სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებაზე და მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებით შემოიფარგლა.

⁴¹ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ. II. 13.

⁴² საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ. II. 13.

პირობებსაც ადგენს⁴³. გამოდის რომ, რეალურად სასამართლომ იმსჯელა forum internum-სა და forum externum-ზე, თუმცა სამწუხარო ის არის, რომ პირდაპირ არ უთქვამს, უფლების ეს ასპექტები რომელი მუხლებით იყო დაცული. ერთადერთი მინიშნება, რაც სასამართლომ დაგვიტოვა, არის ფრაზეოლოგია, რომელსაც იგი იყენებს, კერძოდ, ცალსახაა რომ გამოხატვის თავისუფლების აბსოლუტურ ნაწილზე როდესაც მსჯელობს, ეყრდნობა მე-19 მუხლის მე-2 პუნქტს.

კიდევ უფრო საინტერესო მინიშნებაა გადაწყვეტილების შემდეგ პუნქტში: „კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. ეს არის ნორმა, რომელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის. **თუმცა, აზრის თავისუფლების მსგავსად**, ეს უფლებაც კონსტიტუციურ შეზღუდვებს ექვემდებარება, კონსტიტუციის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად“⁴⁴. გადაწყვეტილების ამ ნაწილში სასამართლო განმარტავს 24-ე მუხლს და იგი რეალურად ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებამდე დაჰყავს. სასამართლო არ განიხილავს ამ მუხლს როგორც გამოხატვის თავისუფლებას, არამედ როგორც მის ერთ ასპექტს, ინფორმაციის თავისუფლებას. გამოხატვის თავისუფლება შედგება internum-ისა და externum-ისგან, სასამართლო აშკარად გამოხატვაზე საუბრობს, როდესაც იგი უფლების შეზღუდვის ნაწილზე გადადის 24-ე მუხლით დაცულ უფლებას, როცა „აზრის თავისუფლებას“ ადარებს, სადაც მიუთითებს, რომ ეს ორივე უფლება იზღუდება. ვინაიდან სასამართლომ გამოხატვა ორ ნაწილად გაყო, სავარაუდოდ, გამოდის, რომ სასამართლომ 24-ე მუხლის პირველი პუნქტი ინფორმაციის თავისუფლებად აღიქვა, ხოლო მე-19 მუხლი forum internum-ს პლუს აზრის თავისუფლებად. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო მკვეთრი გახადა, როდესაც თქვა: „[...]კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების მიზანია დემოკრატიულ საზოგადოებაში აზრისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა-გამოცვლის პროცესის უზრუნველყოფა[...]“⁴⁵. აქ კიდევ ერთხელ ჩანს, რომ სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა აზრი და ინფორმაცია, როგორც ჩანს, აზრი როგორც თვითგენერირებადი და ინფორმაცია, როგორც გამტარი. გარდა ამისა, თუ თანმიმდევრობის მიხედვით დავაწყობთ, მე-19 მუხლი ზემოაღნიშნულ ფრაზაში „აზრს“ შეესაბამება, ხოლო „ინფორმაცია“ 24-ე მუხლს.

უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა განიხილა არის ე.წ. შეკრებებისა და მანიფესტაციების საქმე. სასამართლომ ამ საქმეში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, თუმცა წინამდებარე სტატიაში საუბარი მხოლოდ იმ ნაწილზე იქნება, რომელშიც კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებთან

⁴³ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II. 13.

⁴⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II. 14.

⁴⁵ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II. 16.

დაკავშირებით იყო საუბარი. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სადავო გახადა კანონის იმ მუხლის კონსტიტუციურობა, რომლის მიხედვითაც, აქციაზე იკრძალებოდა მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ. მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სადავო ნორმა არ შეიცავს ისეთ კრიტერიუმს, როგორიცაა აშკარა და მყისიერი საფრთხე, რაც არღვევს კონსტიტუციის მე-19, 24-ე და 25-ე მუხლებს⁴⁶. სასამართლომ ამ საქმეში პირველად სცადა, ცხადად გაემიჯნა ეს მუხლები ერთმანეთისგან და ეს მინიშნებების საშუალებით კი არ გაეკეთებინა, არამედ ცხადად. საკითხის განხილვის დასაწყისში სასამართლომ აღნიშნა, რომ „არ დგას კონსტიტუციის დასახელებული ნორმების სრულყოფილი განმარტების საჭიროების წინაშე, თითოეული მათგანის შინაარსი გაანალიზებული იქნება მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც აუცილებელი იქნება კონკრეტული ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისთვის“⁴⁷.

სასამართლომ თავდაპირველად 24-ე მუხლზე ისაუბრა: „საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი გამოხატავს თავისუფლების სხვადასხვა ასპექტებს შეიცავს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტით დაცულია აზრის და ინფორმაციის გავრცელების უფლება „ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“, ის გამოხატავს თავისუფლების, აზრის გავრცელების შესაძლებლობის გარანტიებს შეიცავს. ამ მუხლით დაცულია ადამიანის შეხედულებები, მისი რწმენა, ინფორმაცია, ასევე ის საშუალებები, რომლებიც მათი გამოთქმისა და გავრცელებისათვის არის შერჩეული, მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები [...]“⁴⁸. წინა გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, სასამართლომ 24-ე მუხლი მხოლოდ ინფორმაციის მიღების და გავრცელების თავისუფლებამდე არ დაიყვანა, მან განაცხადა, რომ ხსენებულის გარდა იგი აზრის გავრცელებასაც მოიცავდა. სასამართლო უფრო შორსაც წავიდა და ამ მუხლზე საუბრისას ახსენა სიტყვა „რწმენა“, რაც *inter alia* მოიცავს რელიგიას. ამგვარი წაკითხვა კი იმას ნიშნავს, რომ 24-ე მუხლით დაცულია გამოხატვის და რელიგიის თავისუფლებების *externum*, ხოლო მე-19 მუხლით იგივე უფლებების *internum*, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ 24-ე მუხლი „ინფორმაციის ტრანზიტული გატარების უფლებასთან“ ერთად, ამ გადაწყვეტილების მიხედვით, აზრის გავრცელებასაც მოიცავს.

სასამართლომ ამ საქმეში ფართოდ მიმოიხილა მე-19 მუხლი. „საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულია ადამიანის ფუნდამენტური უფლება – აზრის, სიტყვის, რწმენის და სინდისის თავისუფლება. მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებს შორის – ორივე მუხლში ნახსენებია აზრის თავისუფლება, ხოლო მე-19 მუხლით დაცულ სფეროს ასევე „სიტყვა“ განეკუთვნება, ამ მუხლებს შორის არსებითი სხვაობაა“⁴⁹. სასამართლომ ამ მუხლის დაცული სფეროს განმარტებისთვის ორი გზა დასახა:

⁴⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2011 წლის 18 აპრილის N2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დარი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ. I. 34.

⁴⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II. 2.

⁴⁸ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II. 3.

⁴⁹ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II.9.

კონსტიტუციის მე-19 მუხლის კონსტიტუციის სხვა მუხლებთან ერთობლივი წაკითხვა და უფლებაში ჩარევის ფორმისა და ფარგლების ანალიზი⁵⁰.

შეზღუდვის საფუძვლების ანალიზისას, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს მე-19 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვების შესაძლებლობა კონსტიტუციის 46-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული⁵¹. ამრიგად სასამართლომ დაასკვნა, რომ „[...]უფლებათა სისტემაში კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცულ უფლებას განსაკუთრებული ადგილი და მნიშვნელობა აქვს. კონსტიტუცია მას უფლებათა იმ კატეგორიას განაკუთვნებს, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია სახელმწიფო უშიშროების, უსაფრთხოების თუ სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად. ამავე დროს, თავად მე-19 მუხლის შეზღუდვის ერთადერთ საფუძველს – სხვათა უფლებების დაცვის აუცილებლობა წარმოადგენს“⁵².

სასამართლომ აღნიშნული მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ „[...]მე-19 მუხლი იცავს ადამიანის პირადულ სფეროს, მის თავისუფლებას, იქონიოს, გაიზიაროს ან/და უარყოს შეხედულება, რელიგია, რწმენა. კონსტიტუციის მიზანია ჩამოაყალიბოს აზრის, სიტყვის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების, როგორც forum internum, ადამიანის შინაგანი სამყაროს, მისი პირადი სფეროს ხელშეუხებლობის გარანტია. ეს არის უფლება (უფლების ასპექტი), რომელიც არ შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მათ შორის, საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროსაც. არავის ძალუძს და არ აქვს უფლება, აიძულოს ადამიანი, მიიღოს ან შეცვალოს საკუთარი აზრი და რწმენა. ადამიანი ასევე დაცულია იძულებისაგან თქვას ის, რაც მას არ სურს ან გამოთქვას საკუთარი აზრი“⁵³. ეს უფლება არ ექვემდებარება რეგულირებას, ვინაიდან ის ინდივიდის თავისუფლების, მისი იდენტობის, ავტონომიის საფუძველს ქმნის“⁵⁴.

ზოგადად ცნობილია, რომ forum internum აბსოლუტური უფლებაა⁵⁵, თუ მე-19 მუხლი მხოლოდ ამ უფლებას იცავს, ჩნდება კითხვა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საჭიროებასთან დაკავშირებით, რადგან იგი შეზღუდვის საფუძველს ადგენს (სხვათა უფლებები). საკონსტიტუციო სასამართლო შეეცადა ამ კითხვისთვის პასუხი გაეცა, თუმცა ამ პასუხით უარყო forum internum-მის აბსოლუტური ხასიათი და განაცხადა, რომ „ადამიანის შინაგანი სამყარო (forum internum), მისი პირადული სფერო დაცულია სახელმწიფოს ჩარევისაგან, მაგრამ შეზღუდვას ექვემდებარება ქმედება, რომელიც ამ სფეროს შიგნით მყოფ სხვა პირთა უფლებების დარღვევას იწვევს“⁵⁶.

⁵⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II.9.

⁵¹ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II.9.

⁵² საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II.9.

⁵³ იმავეზე საუბარი მაია ნათაძისა და სხვების საქმეში.

⁵⁴ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II.10.

⁵⁵ Jim Murdoch: Freedom of thought, conscience and religion; A guide to the implementation of Article 9 of the European Convention on Human Rights. Council of Europe, 2007, p.13; ასევე: Cantwell v. Connecticut (1940), <http://supreme.justia.com/us/310/296/case.html>

⁵⁶ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II.11.

სასამართლო შეეცადა, გაეგლო ზღვარი, რომლის გადალახვის შემდეგაც *internum externum*-ად იქცევა. „[...] სახელმწიფოს ან საზოგადოების ინტერესი ადამიანის რწმენის, მისი შეხედულებებისადმი შეიძლება წარმოიშვას, როდესაც ისინი გარკვეულ ქმედებაში (ან უმოქმედობაში), საზოგადო საქმიანობაში გამოიხატება. აზრი ან სიტყვა პირადულ სფეროს გასცდება და შეიძლება შეზღუდვას დაექვემდებაროს, როდესაც ის გარე სამყაროსთან მოდის შემხებლობაში და პირადული სივრცის მიღმა მყოფი პირების უფლებებს ან საზოგადოების ინტერესებს უპირისპირდება. ასეთი „გამოვლინება“ შინაგანი სამყაროს ფარგლებს სცდება და გამოდის მე-19 მუხლით დაცული სფეროდან. ამგვარი გამოხატვის შეზღუდვა კონსტიტუციის 24-ე ან/და სხვა მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით იქნება შესაძლებელი“⁵⁷.

სასამართლომ ამ ნაწილში სარჩელი არ დააკმაყოფილა.

როგორც აღმოჩნდა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებასთან ერთად ვითარდება სასამართლოს შეხედულებები კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით. ეს მიდგომები მნიშვნელოვანის იმდენად, რამდენადაც სასამართლო საკუთარი გადაწყვეტილების გამოტანისას, პრაქტიკის განვითარების შეთხვევაში, აუცილებლად დაეყრდნობა მას. შესაძლოა გაიზიაროს, შესაძლოა შეცვალოს ძველი პრაქტიკა, ასეა თუ ისე, იგი აუცილებლად ითამაშებს როლს მე-19 და 24-ე მუხლების გამიჯვნაზე.

3.4. სახალხო დამცველი პარლამენტის წინააღმდეგ

ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, რომელმაც ზემოაღნიშნულ კითხვებს, მოცემული დავის ფარგლებში, საბოლოოდ უნდა გასცეს პასუხი, არის სახალხო დამცველის საქმე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელშიც ისევე როგორც მენაბდისა და ბუთბაიას საქმეში, გასაჩივრებულია სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის წესი, რომელიც არ ითვალისწინებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა უფლებებს.

საინტერესოა, როგორ ხედავს სახალხო დამცველი მე-19 მუხლის შინაარსს, „მოსარჩელის აზრით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებულია როგორც რელიგიისა და რწმენის ქონის (როგორც აბსოლუტური უფლების), ასევე მათი გამოხატვის თავისუფლება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დაცულია როგორც შინაგანი რწმენა, ისე რწმენის გარეგანი თავისუფლება. კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ რწმენის გარეგანი თავისუფლების შეზღუდვას, თუ მისი გამოვლენა ლახავს სხვათა უფლებებს. [...] რწმენისა და სინდისის თავისუფლებაში, სხვა საკითხებთან ერთად, იგულისხმება პირის უფლება, თავისუფლად აირჩიოს და ჰქონდეს ეს თუ ის რელიგიური ან არარელიგიური მრწამსი. აქედან გამომდინარეობს პირის უფლება, შეასრულოს რაიმე მოქმედება საკუთარი მრწამსის შესაბამისად, ან საერთოდ არ ჩაერთოს თავისი შეხედულებების საწინააღმდეგო მოქმედებებში. შესაბამისად,

⁵⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, იქვე, პ.: II.12.

სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის და მისი არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურით შეცვლის უფლება, რწმენისა და სინდისის თავისუფლების ფუნდამენტური ასპექტია, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით⁵⁸.

წინა საქმისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო, რაც ნიშნავს იმას, რომ გასაჩივრებულ ნორმასა და კონსტიტუციის მე-19 მუხლს შორის შინაარსობრივი მიმართება დაინახა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმე დასაშვებობის ეტაპს ვერ გაივლიდა და სასამართლო განჩინებას გამოიტანდა⁵⁹. აღნიშნულმა საოქმო ჩანაწერმა საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგია შებოჭა, საქმე ის არის, რომ იგი [სასამართლო] დასაშვებობის ეტაპზე წყვეტს გასაჩივრებული ნორმისა და კონსტიტუციური უფლების ურთიერთმიმართების საკითხს⁶⁰. თუ სასამართლომ თქვა, რომ მე-19 მუხლით არ არის დაცული რელიგიის თავისუფლების ეს ასპექტი, ამგვარი მიდგომა უხერხულობას შექმნის (სასამართლომ გამწესრიგებელ სხდომაზე სადავო ნორმასა და კონსტიტუციურ ნორმას შორის მიმართება დაინახა და არსებით განხილვაზე ვერა), თუმცა, თეორიულად, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა საოქმო ჩანაწერის შემდეგ შეცვალა მე-19 მუხლისადმი მიდგომა⁶¹, ეს შესაძლებელია.

4. მე-19 და 24-ე მუხლების დაცული სფეროები და მათი გამიჯვნა

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს პლენუმს შეუძლია წინა პრეცედენტისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს. კოლეგია შებოჭილია სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება კი გამორიცხავს „რეზერვის საქმეზე“ მე-19 მუხლის დარღვევის დადგენას. როგორც სტატიაში არის აღნიშნული, აქ არის ერთი უხერხულობა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ამ გზით წავიდა, ეს ნიშნავს, რომ სადავო ნორმასა და კონსტიტუციის მე-19 მუხლს შორის მიმართება უნდა გამორიცხოს. ამგვარი მიმართების დადგენა კი, როგორც უკვე აღინიშნა, არა არსებითი განხილვის შემდეგ მიღებულ სასამართლო აქტში (გადაწყვეტილება) ხდება, არამედ გამწესრიგებელი სხდომის შედეგად მიღებულ განჩინებაში, დასაშვებობის ეტაპზე. სასამართლოს კი სარჩელი დასაშვებად უკვე აქვს ცნობილი. ამ უხერხულობის გასამართლებლად მხოლოდ ერთი არგუმენტი შეიძლება გამოდგეს, როდესაც „რეზერვის საქმეს“ პირველი კოლეგია წარმოებაში იღებდა, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა პლენუმის გადაწყვეტილება „მანიფესტაციების საქმეზე“.

⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 2 დეკემბრის N1/4/477 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. პ.1.4 და 5.

⁵⁹ შეადარე, იგივე. პ.11.2.

⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-18 მუხლი.

⁶¹ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა გადაწყვეტილება 2011 წლის 18 აპრილს გამოიტანა (შეკრებისა და მანიფესტაციების საქმე), პირველმა კოლეგიამ კი საოქმო ჩანაწერი გაცილებით ადრე, 2009 წლის 2 დეკემბერს გამოაცხადა.

თუმცა არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი, განმარტების კიდევ ერთი გზა. ეს გზა გვთავაზობს გამოხატვის თავისუფლება ორ მუხლზე გავანაწილოთ, 24-ე მუხლი დაიცავს გამოხატვის თავისუფლების Forum Externum-ს, ხოლო მე-19 მუხლი გამოხატვის თავისუფლების Forum Internum-ს. ეს ახსნის „აზრი“ სიტყვის რეციდივს კონსტიტუციის მეორე თავის მე-19 და 24-ე მუხლებში. რაც შეეხება რელიგიის თავისუფლებას, აქ შეიძლება ითქვას, რომ დაცული სფერო სრულად არის განსაზღვრული მე-19 მუხლში, ვინაიდან სიტყვა „რელიგია“ და „რწმენა“, ისევე როგორც „აღმსარებლობა“, სხვაგან კონსტიტუციის მე-2 თავში არსად არ არის გამოყენებული. აქ წარმოიშობა კითხვა: რით არის გამოწვეული რელიგიის თავისუფლების ესოდენ დიდი მნიშვნელობა (მისი შეზღუდვის ერთადერთი საფუძვლის, სხვათა უფლებების ამარა დატოვება)? მართლაც, ძნელად თუ მოიძებნება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული რელიგიის თავისუფლების ანალოგი, საერთაშორისო დოკუმენტები რელიგიის თავისუფლებას საკმაოდ მრავალი საფუძვლით შეზღუდვას უშვებენ, საქართველოს კონსტიტუციის ავტორებმა კი მხოლოდ ერთი – „სხვათა უფლებები“ დატოვეს. ამ კითხვაზე პასუხი ძნელი მოსაძებნია, შესაძლოა იგი ქართული მრავალკონფესიური საზოგადოების რეალობიდან იყოს ნაკარნახევი, შესაძლოა რელიგიური საკითხებისადმი განსაკუთრებული სიფაქიზით აიხსნებოდეს, ან უბრალოდ საკანონმდებლო ხარვეზია. ამგვარი მიდგომის მიხედვით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს რელიგიის თავისუფლებას, როგორც შიდა სფეროს ისე მის გამოხატვას, რომელთაგან პირველი აბსოლუტურია, ხოლო მეორე პროპორციულობის ტესტის შესაბამისად იზღუდება, სადაც ლეგიტიმურ საჯარო მიზანს მხოლოდ სხვათა უფლებების დაცვა შეიძლება წარმოადგენდეს.

5. დასკვნა

ამგვარად აღმოჩნდა, რომ სასამართლოს, მე-19 და 24-ე მუხლების გამიჯვნის მიმართულებით ბევრი არჩევანი აქვს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამების შემდეგ შესაძლოა გამოიკვეთოს შემდეგი მიდგომები:

- I. მე-19 და 24-ე მუხლები იცავენ გამოხატვის თავისუფლებას (თუმცა ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ მე-19 მუხლი ასევე იცავდეს რელიგიის თავისუფლებას), თუმცა ეს არ არის ამ უფლებით რეგულირებული სფეროს სხვადასხვა ასპექტი;
- II. კონსტიტუციის მე-19 მუხლი მოიცავს აზრის ჩამოყალიბებისა და გავრცელების უფლებას; ხოლო 24-ე მუხლი ინფორმაციის (რომელიც გამტარის გარეთ წარმოიშვა) მიღებისა და გავრცელების უფლებას;
- III. 24-ე მუხლი იცავს გამოხატვისა და რელიგიის თავისუფლებების გამოხატვას, ხოლო მე-19 მუხლი ამავე უფლებების შიდა სფეროს (რომელიც აბსოლუტური არ არის საყოველთაო მიდგომიდან განსხვავებით და სხვათა უფლებების ხარჯზე იზღუდება);
- IV. დაბოლოს, 24-ე მუხლი დაიცავს გამოხატვის თავისუფლების Forum Externum-ს, ხოლო მე-19 მუხლი გამოხატვის თავისუფლების Forum Internum-ს. რაც შეეხება რელიგიის თავისუფლებას, აქ შეიძლება ითქვას, რომ დაცული სფერო სრულად არის განსაზღვრული მე-19 მუხლში.

მიუხედავად იმისა, პირველი მიდგომა წლების განმავლობაში გაბატონებული დოქტრინა იყო, იგი დიდი ხანია უარყოფილია, ნაწილობრივ ამის გამო, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ პლენუმის გადაწყვეტილებით, გამოირიცხა მე-19 და 24-ე მუხლების იდენტიურობა. ნაკლებად სავარაუდოა პირველი კოლეგია ამ გზას დაადგეს.

განმარტების მეორე ვარიანტიც, სავარაუდოდ, ასახვას ვერ პოვებს უახლოეს გადაწყვეტილებებში. ამის მიზეზი კი ის არის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა იგი უარყო „მანიფესტაციების საქმეში“, როდესაც მესამე მიდგომას დაუჭირა მხარი.

სასამართლომ მეოთხე მიდგომის ნაწილი „რეზერვის საქმის“ დასაშვებობის ეტაპზე განიხილა და გაიზიარა (მე-19 მუხლის ნაწილში). ალბათ ამ მიდგომის მეორე ნაწილიც ლოგიკურია, თუმცა, როგორც აღინიშნა, სასამართლოს პლენუმს განსხვავებული რამ აქვს ნათქვამი (ის რაც მესამე ნაწილში არის აღნიშნული), რასაც კოლეგია ვერ გადაუხვევს. ასე რომ, უკანასკნელი პრეცედენტის მიხედვით, სავარაუდოდ, შემდეგ შედეგს დაადგება: სასამართლოს მიდგომის მიხედვით, მე-19 მუხლის მიერ დაცულ სფეროდ განისაზღვრება Forum Internum. ხოლო კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას სასამართლო სწორედ შიდა სფეროში მოაქცევს. ეს არ არის აღიარებული მიდგომა, თუმცა ასეთი ხედვა არსებობს. სასამართლოს ეს პოზიცია მოსალოდნელია იმ ფონზე, რომ მან იგივე „მანიფესტაციების საქმეზე“ Forum Internum-ად განსაზღვრა არა მარტო ადამიანის რწმენა, არამედ პირადი ურთიერთობებიც, ოჯახი. არ იქნება მოულოდნელი, თუ სასამართლო პირის იძულებას, იმოქმედოს საკუთარი რწმენის საწინააღმდეგოდ, უფლების შიდა სფეროდ აღიქვამს.